# სახალხო გაზეთი

№ 1123 კვირა, 23 თებერვალი 1914 წ. № 1123

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



კნ. ეკატერინე დავითის ასული, თ-დნი ილია ივანეს ძე, კონსტანტინე, დავითი და ალექსანდრე გიორგის ძენი და კნეინა ნატალია გიორგის ასული ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 23 თებერვალს, გარდაცვალების ორმოცის თავზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**თ-დ ივანე გიორგის ძის ციციშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. 146

მაკრინა ბიჭიას ასული და მაკრინე სიმონის ასული, ნატალია, ნინო და ანა სერაფიონ ფერაძის ასულნი, ნაუმ იროდიონის ძე გეგეშიძე გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 თებერვალს ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. სოხუმში გარდაიცვალა პირველის ერთად-ერთი ვაჟის, მეორესი მაზლის წული, მესამე, მეოთხე და მეხუთე'სი საყვარელი ძმა და უკანასკნელის ცოლის ძმა ქუთაისის კერძო გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

**გრიგოლი (გრიშა) ფერაძე**

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 25 თებერვალს, ს. საქარაში, (სადგურ ყვირილის მახლობლად), წმ. გიორგის ეკლესიაში.

**ახალი კლუბი**

ხამშაბათს, 25 თებერვალს, **საოჯახო საღამო.**

დრამატიულ მოყვარულთა ხელოვნების ჯგუფი, დაარსებული „ახალ კლუბთან", წარმოადგენენ 1) „**რომანტიკი**" როსტანისა, ლექსად გადმოთარგმნილი შჩეპკინა-კუპერნიკისა. 2) **ფიფი**, დრამატიული ეტიუდი ფილიპისა. 3) **რაინდი ინდუსტრიისა**, მინიატურა ავერჩენკოსი.

მონაწ. მიი ღებენ: ქ-ნ ვერა ტიზენგაუზენისა, სკლიაროვისა, ბ-ნნი: ნ. ნ. ბეგთაბეგოვი, ნ. ს. ე. ბუტენკო, ნ. გ. მაჭავარიანი, მ. ფ. ქორელი და სხ. ადგილ. ფასი პარტერში: პირველი რიგი 1 მ., 2 და 3—75 კ., 4, 5 და 6—50 კ., 7, 8, 9—30 კ. დანარჩენი 20 კ. ქანდარა ხელმისაწვდომია.

დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს. 1052

**ახლად გაიხსნა**

სასტუმრო სასადილო

**„სინათლე"**

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სიცილია" და „არარატი"

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოხები".

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

დღეს, 25 თებერვალს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. მმართ. წრის მიერ

**რეჟის. ალ. წუწუნავას საბენეფისოდ**

წარმოდგენილი იქნება:

**პირმზე,** (კეთილ და ბოროტ სულთა ბრძოლა),

ზღაპრული მოთხრობა კ. ფოცხვერაშვილის, გალექსილი ზოთა დადიანის მიერ მუსიკით.

ალ. იმედაშვილის მონაწილეობით

II) **მორევში,** მესამე მოქმედება ს. ჭანტურიშვილისა.

III) **რევიზორი,** მეხუთე მოქმ. გოგოლისა.

დადგმული იქნება მოსკოვის სამხატვრო თეატრის გეგმით და მიზან-სცენებით.

მონაწილეობას მიიღებენ წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი. ადგილ. ფასი 15 კ.-დან 2 მ.-დე. დასაწყ. საღ. 8 ს.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. რეჟ. თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

1002 ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინ.

**ვაგზლის სამკურნალოში**

(მიხეილ-ის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძუძუთ შემოწმება და სხვ.

რჩევის ფასი—50 კაპ.

**წამლობა „914".** 1023

**ბატონებო!**

თანაგვიგრძენით, მოითხოვეთ და მიირთვით ხოლმე თავანკარი დიდმური

**„რძე"**

ამხ. „ანკარა"-სი; დილაობით მოგერთმევათ დაბანდეროლებული შუშის ჰურჭლით, იაფად. ბინა: ტფილისში, ერევნის მოედანზე, საზოგადოება „მთლეგასთან". 122

**სამგანგებო რეკლამის გულისათვის**

სარატოვის სარფინკების მექარხნეთა

**სავაჭრო სახლის**

**„ე. ე. მაიერ"-ის**

**მაღაზიაში**

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზ"-ის ქვეშ, ტელეფ. № 13—15.

**ამ წლის 21 თებერვლიდან 1 მარტამდე დანიშნულია**

**გაყიდვა მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა**

**საარაკო იაფ ფასებში**

ნამდვილ ღირებულებაზე 20 და 40 პროცენტის დაკლებით.

საჭიროა ყველამ შემოიაროს მაღაზიაში და თვითონ დარწმუნდეს ნამდვილ იაფობაში.

1066 პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერი".

კვირას, 23 თებერვალს, შუადღის 12 საათზე „ახალი კლუბის" დარბაზში დანიშნულია ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს წევრთა

**საზოგადო კრება**

განსახილველია: 1) 1912—1913 წლ. ანგარიში გამგეობისა. 2) 1914 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) გამგეობის წევრთა არჩევა. 5) საზოგადოების წევრების მიღება.

საზოგადოების წევრებს წლიური ანგარიშის მიღება შეუძლიათ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგ. მაღაზიაში. 109

გორის პირველი კერძო

**სამკურნალო**

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. მ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**მინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძუძუთა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1604

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფიდოროვი მ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი მ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½ |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძუძუთა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1070

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის**

**სამკურნალო**

**ქალ. ბაქოში**

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

**სამკურნალო**

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ზელანცე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ზოლოცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ასპიხოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

**არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი**

სამშაბათს, 25 თებერვალს, 1914 წ. ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი

**ს. ვ. იაბლონოვსკი**

წაიკითხავს ლექციას

**„ცხოვრებიდან მიმავალნი"**

(თვითმკვლელობის საკითხზე)

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი დამსწრე საზოგადოების მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათს, 27 თებერვალს, მეორე ლექცია ს. ვ. იაბლონოვსკისა: „დაუბადებელთა უფლება" (მუცლის მოწყვეტის წინააღმდეგ).

ბილეთები 55 კ. 3 მ. იყიდება არტისტიულ საზოგადოების კლუბში შესასვლელთან. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 116

**ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა**

მებაღე შეგირდების მიღება.

მებაღეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.

Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577

**ცნობა:**

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ წლის 1 იანვრიდან შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში № 20, 21,

**გავხსენი**

ბითუმად და წვრილ-წვრილად სავაჭრო მაღაზია:

მაუდეულისა, შალეულისა, აბრეშუმეულისა, ტილოსი და ბამბის ქსოვილებისა მოსკოვისა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა

სრულის პატივისცემით ს. მ. კირაკოზოვისა და მ. გ. ოგანოვის მაუდეულის განყოფილების გამგედ ნამყოფი

**ილია დავითის ძე მამულაშვილი**

1067 (იგივე მამულოვი).

**გამგეობა**

**ჭლექთან მებრძოლ**

**კავკასიის საზოგადოებისა**

საყოველთაოდ იუწყება, რომ კვირას, 23 თებერვალს, „თეთრ ყვავილის" ამბულატორიასთან (19 თებერვლის ქუჩა, № 47), გაიხსნება ჭლექის საწინააღმდეგო მასალათა

**მუზეუმი,**

მედიცინის დოქტორ ფ. ლ. ფიხნერის შეკრებილი. მუზეუმი ღია იქნება ყოველ კვირა დღეს, შუადღეის 12 ს.-დან 3 ს.-დე, შესვლა უფასოა. მუზეუმი პირველად ღია იქნება 23 თებერ., შუადღის 12 საათზე.

პაიებით არსებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი

ამით აცხადებს, რომ სავაჭრო მაღაზიაში, მიხეილის პროს. და კიროჩნის ქუჩის კუთხე,
17 თებერვლიდან დანიშნულია

უდიდესი იაფი ვაჭრობა.

სეზონიდან დარჩენილ საქონლისა. 104

სამანუფაქტურო მაღაზია
ძმ. ჯავახოვები და ამხ.

შუა-ბაზარში მანთაშევის ქარვასლაში №№ 71, 72, 73.

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლად მიღებული გვაქვს ყოველ გვარი მანუფაქტურა: მაუდეულობა, შალეულობა, აბრეშუმეულობა, ტილოები და ბამბის ქსოვილები მოსკოვსა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა. ვაჭრობა პარტიობით და წვრილ-წვრილად ხელმისაწვდომ ფასებში.

შაბათობით ისყიდება ნაჭრები 50% დაკლებით. 1070

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. იერა, კორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საგურამოში
მშვენიერ ადგილას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თელავის ქუჩაზე, სახლი № 6, ... თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. ... ვთხოვთ ... მყიდველებს, რომ თავის ... შეიძინონ ... ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმთა საზოგადოების
სამკურნალო
მუდმივ საწოლებით.
მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
ტელეფ. № 1026.
ავადმყოფების მიღება:
აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ებიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიბეგი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიბეგი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.
კიმოვეტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაგაქიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილი აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან, ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
შეზხაპუნება „914“, „606“. 1040

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ბ. ბორჯომი (დოქტორანტი).
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1671

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ... კანის ავადმყ.: ... იკვლ. ... მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, ... ქუჩის ახლო, ... განყოფ. ... 102

ექიმი ბ. ნ. მაჩაკიანი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი გ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხეილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი ნინო რცხილაძე
ქალთა
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

## ქართული პრესა

ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში სიტყვას. წერილი იყო დაბეჭდილი, სადაც ავტორი აღნიშნავდა ქართული პრესის ზნეობრივს დაქვეითებას საზოგადოდ და იმ პროვოკატიულ მიდრეკილებას კერძოდ, რომელიც გამეფდა ბოლო დროს ქართულს გაზეთებში. სიტყვა შეეხო საკითხს პრინციპიალურად და თავისი აზრი დაასურათა რამდენისამე მაგალითით.

სიტყვას ნათქვამი გულში მოხვედრია ვინმე „კიათურელს“, „სიმართლის ხმის“ კორესპონდენტს, მოხვედრია, მაგრამ სამწუხაროდ ოდნავად არ შეუგნია წერილის სამართლიანი საყვედური, არც უგრძვნია ის სიმწარე, რომელიც უნდა იგრძნოს ყოველმა პირუთვნელმა მეთვალყურემ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისამ.

განა ბ. კიათურელს რომ ცოტათი მაინც ჩაეხედა სიტყვის წერილის შინაარსში, ჩაეხედნა ფხიზელის გულით და სალით, არ დაბრმავებულის გრძნებით, დასწერდა იმას, რაც დასწერა თავის კიათურიდან მოწერილ კორესპონდენციის შენიშვნაში? აი, რას ბრძანებს ბ. კიათურელი:

დავამშვიდებთ გელოვანის ბნელი საქმეების დამფარველ „კეთილშობილურ გრძნობებით“ გამარჯვებულ ბ. სიტყვას და ვეტყვით, რომ არავითარი საფრთხე მის კიათურელ მეგობრებს არ მოელით.

განა ამ სიტყვების დამწერი არ ადასტურებს სწორედ იმას, რის წინააღმდეგ იყო მიმართული სიტყვის წერილი? განა ბ. კიათურელის შენიშვნა არ დაღადებს ხმამაღლა სწორედ ქართულ პრესის დაცემას? ვკითხავდით კორესპონდენტს: სად და როდის დაჰფარა სიტყვამ „გელოვანის ბნელი საქმეები“? ვკითხავდით, მაგრამ ვიცით, რომ ასეთი კითხვა სრულიად უნაყოფოა და ისევ გაჩუმებას ვამჯობინებთ.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

21 თებერვლის სხდომა.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. განსახილველ საქმეთა სიაში არის საკანონმდებლო მოსაზრება ნოქართა დაქირავების შესახებ. მინისტრთა ლოჟაში ზის იუსტიციის მინისტრი. სათათბირომ მუხლობრივ უნდა განიხილოს სენატის რეფორმათა კანონ-პროექტი. განსახილველია მეექვსე მუხლი: დეპარტამენტში სენატორებად ინიშნებიან ის პირნი, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი სწავლა.

**შეშკოვი.** საერთო კამათის დროს სათათბიროს მხედველობაში ჰქონდა სამინისტროს კანონ-პროექტი; ეხლა კი ისეთი მუხლები წამოაყენეს, რომ სრულიად სცვლიან კანონ-პროექტის დედა-აზრს. მოლაპარაკის აზრით ეს მუხლი ყოვლად შეუწყნარებელია.

**ზამისლოვსკი** წინააღმდეგია სენატორებად უეჭველად ის პირნი ინიშნებოდნენ, რომელთაც უმაღლესი სწავლა აქვთ მიღებული.

**გროძიცკი** იცავს პროგრესისტთა შესწორებას. ამ შესწორებით ისეთი პირობები წესდება, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სენატორის დასანიშნად. ამ შესწორებით სენატორებად შეუძლიანთ იყვნენ გუბერნატორები, სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი, თავად-აზნაურების წინამძღოლნი, გუბერნიის საერობო თვით-მმართველობათა თავმჯდომარენი და სატახტო ქალაქების მოურავნი, რომელთაც უმსახურნიათ არანაკლებ 19 წლისა.

**ჩერნოსვიტოვი პირველი** იცავს კადეტთა შესწორებას. სენატორებისთვის აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლება; სენატორებს უხდებათ კანონების ახსნა განმარტება და თუ იურიდიულად არ არის იგი განათლებული, თვის მოვალეობას ვერ შეასრულებს.

**ზამისლოვსკი** შესწორების წინააღმდეგ ლაპარაკობს. რასაკვირველია, კანონების განმარტება ძნელია, მაგრამ კანონების შედგენაც არ არის ადვილი საქმე; სათათბიროს წევრთათვის არ-არის სავალდებულო უმაღლეს სწავლის მიღება; უმაღლესი განათლება არც ნაფიც-მსაჯულთათვის არის სავალდებულო, რომელნიც რთულ საქმეებს სწყვეტენ. საქმე უმაღლესი სწავლა კი არ არის, საქმეა ცხოვრებისა და ყოფა-მდგომარეობის ცოდნა.

**მაკლაკოვი.** ყოფა - ცხოვრების ცოდნა კანონის შესადგენად აუცილებელია, მაგრამ არსებულ კანონების ახსნა-განმარტება სულ სხვა საქმეა. კანონების განმარტება ცხოვრების პირობებთან შეფარდებით სახელმწიფოებრივი ანარქიაა.

**მომხსენებელი გრ. ბენიგსენი** წინადადებას იძლევა უარჰყონ ყველა შესწორება, გარდა საბიუჯეტო კომისიისა, რის თანახმადაც სენატორებისათვის სავალდებულოა უმაღლეს იურიდიული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება სავაჭრო და სამოქალაქო კანონმდებლობაში.

სათათბირომ მეექვსე მუხლი მიიღო თანახმად მომხსენებლის წინადადებისა.

განსახილველია მეექვსე მუხლის პირველი ნაწილი: როდესაც დეპარტამენტში განთავისუფლდება სენატორის ადგილი, დეპარტამენტი დაასახელებს იმ პირთ, რომელნიც დააკმაყოფილებენ სენატორის თანამდებობისთვის სავალდებულო პირობებს, დასახელებულ კანდიდატებს წარუდგენენ იუსტიციის მინისტრს და იუსტიციის მინისტრი მეფეს მოახსენებს, როგორც დასახელებულ კანდიდატებს, აგრეთვე სხვა პირთაც.

**ოჯუმოვი.** სენატის შემადგენლობის შევსების საკითხი კანონპროექტის ერთი უმთავრეს საკითხთაგანია. დღეს სენატი ექვემდებარება აღმასრულებელ მთავრობას; ეს მორჩილება მას შემდეგ დაიწყო, რაც დაარსდა მინისტრთა საბჭო. თუ არ შეიცვლება სენატორების დანიშვნის სისტემა, სენატი თავის დღეში არ იქნება კანონების დამცველი. თუ კი 17 ოქტომბრამდის სენატის მდგომარეობა ნორმალური არ იყო, მას შემდეგ იგი პირდაპირ სახიფათოა, განსაკუთრებით საკანონმდებლო დაწესებულებათათვის, რადგანაც, როგორც თვით მინისტრმა განაცხადა, ჰსურთ სენატს მიანიჭონ კანონების ცხოვრებაში განხორციელების უფლება. ცხადია, რომ ამ პირობებში შეუძლებელია მინისტრს მივანიჭოთ კანდიდატების დასახელების უფლება.

**ზამისლოვსკი.** კოოპტაციის პრინციპის მიღება შეუწყნარებელია, ამით ვამცირებთ უმაღლეს მთავრობის უფლებას. საოცარია მემარცხენეთა საქციელი: ისინი ჰგმობენ სენატის შემადგენლობას და მასვე ანიჭებენ სენატორების მოწვევის უფლებას. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორთა კოოპტაციამ უკვე გვიჩვენა თვისი ნაყოფი. პროფესორის არჩევის დროს მის სწავლულობით კი არა ჰხელმძღვანელობდნენ, არამედ პარტიული ერთგულებით. ოქტომბრისტთა წინადადებაც, სენატს მიენდოს კანდიდატების დასახელება, უსარგებლოა. სენატის მიერ წამოყენებულ კანდიდატის დაუმტკიცებლობა შეარყევს სენატის ავტორიტეტს. მთავრობის კანონ-პროექტს აზრად ჰქონდა სენატის საქმის წარმოებაში ტეხნიკური გაუმჯობესება შეეტანა. მემარცხენეებმა ხუთ წელს შეაფერხეს კანონ-პროექტი; მათა ჰსურდათ მთავრობისაგან საკონსტიტუციო დათმობას გამორჩენოდნენ. მოლაპარაკე წინააღმდეგია კადეტებისა და პროგრესისტების შესწორებისა. ოქტომბრისტთა შესწორების მიღება შეიძლება, რადგანაც მას არც ავნების და არც სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

**დიმშა.** პროგრესისტების შესწორებას სენატორთა დანიშვნის თაობაზე აზრადა აქვს არა კოოპტაცია, არამედ რეკომენდაცია. მეფეს ვინცა ჰსურს, იმას დანიშნავს. ასეთი წესი არსებობს თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევაშიაც და სინოდშიაც. სათათბიროს არავითარი ვაჭრობა არ ჰქონია მთავრობასთან ამ კანონ-პროექტის გამო. სათათბიროს ჰსურს განახორციელოს მეფის სურვილი სენატის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. იუსტიციის მინისტრი გაურბის მეფის სურვილის აღსრულებას. თუ საჭიროა სენატის დამოუკიდებლობა იუსტიციის მინისტრისაგან, სენატორები იუსტიციის მინისტრის დამოუკიდებლივ უნდა ინიშნებოდნენ. მოლაპარაკე იცავს შესწორებას; კანდიდატები უხუცეს სენატორმა დაასახელოს.

**ბარონ მეიენდორფი.** თუ დასავლეთში ეხლა იმედის გაცრუებით უყურებენ პარლამენტის პარტიათა ზედამხედველობას კანონიერებაზე, ჩვენში დიდი ხანია, რაც სასოწარიკვეთეს სენატზე გენერალ-პროკურორის კონტროლის გამო. თუ რევოლიუციის დროს სასტიკად შეირყა მცხოვრებთა უფლებრივი შეგნება, ეხლა ბიუროკრატთა უმაღლესი წრეni განიცდიან ზნეობრივ გახრწნილების საშინელ კრიზისს. სენატორების დანიშვნისათვის განზრახული წესი ახალი არ არის: ჯერ კიდევ დერჟავინი აღშფოთებული იყო გენერალ-პროკურორთა მოქმედებით და წინადადებას იძლეოდა შეეცვალათ სენატორების დანიშვნის წეს-რიგი. პობედონოსცევიც ამ აზრისა იყო. რასაკვირველია, ვერვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ სენატში ყველა ღირსეული ხალხი ინიშნება, მაგრამ მიუხედავად მრავალი ნაკლისა სენატში ძოიძებნება ისეთი ელემენტი, რის შემწეობითაც შესაძლებელია მისი სასურველი განვითარება. საჭიროა მხოლოდ წაქეზება, საჭიროა ისეთი კანონები გამოიცეს, რომ ხნოვანებით დაუძლურებულნი პირნი, რომელიც თვის უკანასკნელ ძალ-ღონეს ალევენ სახელმწიფოს სამსახურს, ამ კანონებში ჰპოებდნენ ზნეობრივ ძალას; საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომ სენატორები თვის უკანასკნელ დღეებში მაინც არ განიცდიდნენ გენერალ-პროკურორების მწვავე მუქარას. (ხანგრძლივი ტაში ცენტრსა და მარცხნით).

**იუსტიციის მინისტრი.** სენატის მიერ კანდიდატების დასახელება გაცილებით უარესი იქნება გენერალ-პროკურორის ზედამხედველობაზე. აქა სთქვეს, რომ იუსტიციის მინისტრი ურჩობას ეწევა მონარქის სურვილის წინააღმდეგო, რომ იუსტიციის მინისტრმა არ შეასრულა მეფის 1905 წლის ბრძანებაო. საბუროვის 1905 წ. კომისიის მიერ შემუშავებულ დაწესებულებათა დებულებებში, რომელნიც მეფემ დაამტკიცა, აღნიშნულია, რომ სენატი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მისი დადგენილებანი შეურყეველნი იუსტიციისა თუ სხვათა მინისტრების მხრითო. სამინისტროს კანონ-პროექტი სწორედ ამ თვალსაზრისით არის შემუშავებული. სენატის გადაწყვეტილებაში მინისტრები არ უნდა ჩაერივნენ, მათ შორის იუსტიციის მინისტრიც. მაშასადამე მეფის ბრძანება შესრულებული ყოფილა. მინისტრი გაოცებულია, როდესაც ჰლაპარაკობენ კერძო მინისტრების ურჩობაზე მეფის სურვილის წინააღმდეგ. მინისტრებს საკუთარი თაოსნობა არ აქვთ მინიჭებული; საკანონმდებლო თაოსნობა მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო დაწესებულებებს და უმაღლეს მთავრობას. მინისტრები მხოლოდ მოხსენებას წარუდგენენ ხოლმე უმაღლეს მთავრობას ახალ საკანონმდებლო მოსაზრებაზე. მინისტრები თავისი კანონ-პროექტებით რომ ჰზღუდავდეს საკანონმდებლო დაწესებულებათ, მაშინ მოკამათენი მართალნი იქნებოდნენ; მაგრამ კანონ-პროექტები განსახილველად და შესასწორებლად შეაქვთ საკანონმდებლო პალატებში. დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ სენატის მიერ კანდიდატების დასახელება მეცნიერებამ უვარგისად სცნო, იგი ეწინააღმდეგება ძირითად კანონებს და ჰზღუდავს მეფის უფლებას. (ტაში მარჯვნით).

**გროძიცკი.** იცავს პროგრესისტთა შესწორებას. იგი არაფერს ორიგინალურს არ შეიცავს. ღირსეულ პირთა რეკომენდაცია დაფუძნებულია თვით სენატის ღირსებათა დაცვაზე.

**კერენსკი.** მინისტრის სიტყვები: „სენატის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება“ იმასა ჰნიშნავს, რომ შეიქმნას სათათბიროზე უმაღლესი დაწესებულება, რომელიც ბიუროკრატიზმის თვითნებობასა და ძალადობას დაჰფარავს, შეიქმნას ისეთი აპარატი რომლის მეოხებით გამოიცემა ყოვლად უვარგისი ნორმები, თვით საიმ ივნისის კანონითაც უარყოფილი.

**ზამისლოვსკი.** სენატის წინააღმდეგ ამხედრების მიზეზი თვით სენატის მიმართულების შეცვლით არის გამოწვეული; როდესაც სენატი ლიბერალური იყო, მაშინ იგი ყველასთვის სასურველი და საყვარელი შეიქმნა; როგორც კი კონსერვატიული პრინციპებზე შესდგა, მაშინათვე შეიქმნა მძულვარების საგნად. მოლაპარაკის აზრით, საჭიროა ნათლად და გარკვევით იიქვას: აქვს თუ არა მეფეს უფლება თავის ნებით დანიშნოს სენატორები სენატის მიერ დასახელებულ კანდიდატების მიუხედავად (ტაში მარჯვნივ)

**შუბინსკი** წინადადებას იძლევა მუხლის მეორე ნაწილში შეიტანონ შესწორება: სენატის მიერ დასახელებული პირნი უნდა ჩაირიცხვნენ იმ კანდიდატთა სიაში, რომელიც წარედგინება მეფეს სენატორის დასანიშნად. (ტაში მარჯვნივ).

**ჩერნოსვიტოვი პირველი.** სენატორების კანდიდატთა სია უნდა წარუდგინოს მეფეს უხუცეს სენატორმა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამკვიდრდეს სენატის პირდაპირი ურთიერთობა მეფესთან. თუ სენატის გარეშე მდგომ პირთ მიენიჭებათ უფლება კანდიდატების დასახელებისა, ეს იქნება ბოროტება და სენატი იუსტიციის მინისტრის გავლენის ქვეშ მოჰყვება. მოლაპარაკე უპასუხებს მინისტრს.

**ოჯუმოვი.** საქმე—კოოპტაცია კი არის, რაიცა, ვითომდა, საზღვარ-გარეთ უარჰყვეს, არამედ რეკომენდაციაა. კოოპტაცია ჰსაზღვრავს მეფის უფლებას, რეკომენდაცია მინისტრის უფლებას ჰზღუდავს.

**კინდიაკოვი** საერობო მოღვაწე ოქტომბრისტთა ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ იგი მხარს დაუჭერს სენატის მიერ კანდიდატების დასახელებას. მოლაპარაკე წინააღმდეგია მეექვსე მუხლის პირველი ნაწილის

მეორე პუნქტისა და წინადადებას იძლევა, ეს ნაწილი გამოჰრიცხონ.

**მარკოვი** მეორე შესწორებათა წინააღმდეგ ლაპარაკობს.

**მომხსენებელი გრ. ბენიგსენი** ყველა შესწორების წინააღმდეგ ლაპარაკობს. წინადადებას იძლევა მუხლი კომისიის რედაქციით მიიღონ.

**ჩხეიძე.** პრინციპიალურის მოსაზრებით სოციალ-დემოკრატები არიდებენ მონაწილეობას კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაში.

კენჭისყრით, ყველა შესწორება უარჰყვეს გარდა კადეტებისა და კინდიაკოვისა, რის თანახმადაც მეექვსე მუხლის პირველ ნაწილიდან უნდა გამოირიცხოს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს სენატის მიერ დასახელებულ კანდიდატებთან ერთად მეფეს თვისი ნებით სხვა კანდიდატებიც წარუდგინოს. ამრიგად იუსტიციის მინისტრი მეფეს წარუდგენს დასამტკიცებლად მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომელთაც სენატი დაასახელებს.

მიიღეს აგრეთვე კადეტების ლამატება: მეფის მიერ დამტკიცებული სენატორი ინიშნება დეპარტამენტში ინიშნება უმაღლესი უქაზით.

შემდეგი სხდომა 25 თებერვლისათვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** სინოდის სასკოლო საბჭოს გაუგზავნა საქართველოს საეგზარხოსოს სამრევლო სკოლების მეთვალყურეთა კრების დადგენილებანი. ეს კრება მოხდა წარსულ იანვარში და უმთავრესი ყურადღება მიაქცია სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის მომავალ ზაფხულს საპედაგოგიო კურსების მოწყობის საჭიროებას. ამ აზრით კრებამ დაადგინა, ივნისში ქუთაისსა და სოხუმში კურსები მოაწყოს იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების 130 მასწავლებლებისათვის. ამავ კრებამ სკოლების სამოსწავლო კურსი განიხილა და შესაჩნევი ცვლილებანი შეიტანა. სასინოდო კანტორა სინოდის სასკოლო საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, კრების დადგენილება დროზე დაამტკიცოს, რათა კურსების გამართვა მომავალ ზაფხულს მოესწროს.

◆ **ქალაქის ლომბარდის** გამგე გ. კაფიევს, რომელიც წარსულ შემოდგომაზე პეტერბურგში იყო გაგზავნილი ლომბარდების დებულების შესამუშავებლად მემდგარ საუწყებათა შორისო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სხვათა შორის, ისიც ჰქონდა ქალაქის საბჭოსაგან დავალებული, რომ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში დაეთვალიერებინა საუკეთესოდ მოწყობილი ლომბარდები და იმისდა-კვალობაზე მოხსენება შეედგინა ტფილისის ქალაქის ლომბარდის რეორგანიზაციის შესახებ. ბ-ნმა კაფიევმა მოხსენება უკვე შეადგინა და ქალაქის გამგეობას წარუდგინა. ბ-ნი კაფიევი მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საერთო მიზეზთა გარდა ტფილისის ლომბარდის საქმეების გაფართოვებას დიდად ხელს უშლის საწარმოო თანხის სიმცირე, ლომბარდის ახლანდელი შენობის სივიწროვე და ლომბარდის წესდების მეთერთმეტე მუხლი. ბ-ნს კაფიევს მოხსენებაში მოჰყავს ლომბარდის შემოსავლის შედარებით ცხრილი, საიდანაც სჩანს, რომ ლომბარდს შემოსავალი ჰქონია: 1903 წელს—15,229 მან. 12 კ., 1904 წ.—15,294 მ. 85 კ., 1905 წ.—15,368 მ. 76 კ., 1906 წ.—11,657 მ. 6 კ., 1907 წ.—14,923 მან. 77 კ., 1908 წ.—17,389 მ. 37 კ., 1909 წ.—18,838 მ. 40 კ., 1910 წ.—20,019 მ. 23 კ., 1911 წ.—21,414 მ. 93 კ. და 1913 წ.—20,927 მან. 86 კ. ბ-ნ კაფიევის აზრით ლომბარდის შემოსავალი მართალია ყოველ წლივ იზრდება, მაგრამ იმდენად კი არა, რომ თვისი დანიშნულება გაამართლოს: ქალაქის კასასაც რიგიანი შემოსავალი მისცეს და მცხოვრებთა ფართო მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს. დასასრულ ლომბარდის გამგე ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობს: 1) გაუხსნას ლომბარდს ადგილობრივ ბანკებში 300,000 მან. კრედიტი თვის საწარმოო თანხის გასაძლიერებლად, 2) შესცვალოს ლომბარდის მეთერთმეტე მუხლი იმგვარად, რომ დაგირავებულ ნივთების შესანახი და დასაზღვევი ფული ლომბარდმა მცხოვრებთ გადაახდევინოს ამ ნივთების ღირებულობის მიხედვით და არა აქ ნივთებში ჩატანილ სესხის კვალობაზე, როგორც ახლა არის და 3) დაიქირავოს ლომბარდისათვის ა. ი. მანთაშევის მემკვიდრეთა სახლი, გოლოვინის ქუჩაზე მდებარე, რომელიც სრული შესაფერია ლომბარდისთვის.

◆ **სოფლელთა შუამდგომლობა.** გორის მაზრის სოფ. ერთაწმინდის მცხოვრებნი შუამდგომლობენ სათანადო მთავრობის წინაშე, რათა ისინი განთავისუფლოს იმ 75 მან. ყოველწლიურ ხარჯისაგან, რომელსაც იხდიან ახალქალაქის სამინისტრო სკოლის სასარგებლოდ 1872 წლიდან. მცხოვრებნი შუამდგომლობას შემდეგის მოსაზრებით ასაბუთებენ: 1904 წლიდან ერთაწმინდა ცალკე სამამასახლისოდ გამოიყო და 1909 წლიდან კი საკუთარი სამრევლო სკოლაც აქვს ორსართულიან საკუთარ შენობით. ამას გარდა ახალქალაქის სკოლა ერთაწმინდელებზე დიდად დაშორებულია და ამიტომ მათი შვილები იქ არა სწავლობენ და არც საკუთარ სკოლის დაარსებამდე სწავლობდნენ.

◆ **კახეთის რკინის გზა** ამ ჟამად ტფილისიდან ს. თოხლიაურამდე 60 ვერსის მანძილზე, უკვე მზად არის რკინის გზისთვის საჭირო ხიდები და რელსებიც დაწყობილია. სამუშაო მატარებლების მიმოსვლაც სწარმოებს. რკინის გზის სადგურები ჯერ არსად არის, მაგრამ ტფილისში აუარებელი ხალხი მუშაობს სადგურისთვის საჭირო ხის მასალის დასამზადებლად. ქვის მასალის დამზადებაც ჩქარა დასრულდება.

კახეთის რკინის გზის გამგეობა უკვე შეუდგა მომავალ გზისთვის საჭირო მოსამსახურეთა შტატის შედგენას. მთხოვნელი ალაგის ბევრია.

◆ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო დავით მელაშვილს, გამოსცეს ტფილისში ქართულ ენაზე ყოველკვირეული საზოგადო-სალიტერატურო და საიუმორისტო ჟურნალი, სახელად „ლახტი."

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეფის მოადგილეს აცნობა, რომ ნახირზე დადებულ საპროცენტო გადასახადიდან 5,000 მან. გადაიდო ტფ. გუბერნატორის განკარგულებაში. ამ ფულით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაღესტნის საბჭეთლო დამცველ-საკარანტინო ნაწილი უნდა შეინახონ.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ცნობილი ბანკირი **ა. ფ. ფრიდონოვი**, რომელმაც რაიმე ანდერძის დატოვება ვერ მოასწრო. ახლა როგორც გავიგეთ, განსვენებულის მემკვიდრეებს ქალიშვილებს—გადაუწყვეტიათ თავიანთ ნაწილიდან რამდენიმე პროცენტი გადასდონ განსვენებულის ბანკის მოსამსახურეთა სასარგებლოდ. ზოგი მოსამსახურე, აგერ 25 წელიწადია მსახურობს ამ ბანკში.

◆ დღეისათვის ქართულ თეატრში დანიშნული ლექცია ქრისტინე შარაშიძისა „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში" 2 მარტისათვის გადაიდო.

◆ **ქველ მოქმედთა საყურადღებოდ.** ჩვენს რედაქციაში გუშინ შემოვიდა გარეგინ ჰაირაპეტის ძე ტერ-ავეტიქიანცი და შემოგვჩივლა: „ოდესღაც ვმუშაობდი კალმით და ამითი ვირჩენდი თავს. ეხლა კი უღონოდ ვიმყოფები, არავითარი საშუალება არა მაქვს". ტერ-ავეტიქიანცს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნატორებისაგან მოწმობა აქვს, რომ გაზეთის საშუალებით დახმარების თხოვნა შეუძლიან. ყოველგვარი შეწირულება უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით: ტფილისი, ღარიბთა თავშესაფარი, ვანქის ტაძრის პირდაპირ.

◆ **„ყვავილობა"** ოცი აპრილი, კვირა დღით მოდის, როდესაც სავალდებულო დადგენილებათა ძალით სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილია ხოლმე და ქალაქში მოძრაობა შესუსტებულია. ამის გამო ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოების გამგეობაში აღძრულ იქმნა საკითხი, რათა დღესასწაული 21 თებერვლისთვის, ან 22-სთვის იქმნეს გადატანილი.

◆ **თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს** კრებაზე ამ დღეებში ერთმა წევრმა აღძრა საკითხი, დაარსდეს ბაღის მუშების სკოლა თავად-აზნაურობის მამულში, რომელიც ატენში (გორის მაზრა) მდებარეობს და რომელსაც ქართული სამეურნეო საზოგადოება განაგებს. საკრებულომ სკოლის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა საადგილ-მამულო კომისიას მიანდო. ჩვენ გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვითომც ამ დღეებში საკრებულოს განეხილოს საკითხი დ. ყიფიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა.

◆ **ტრამვაი ახალ სასაკლაომდე.** ტფილისში არსდება ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს, ნავთლუღის ტრამვაის შტოდან ახალ სასაკლაომდე ტრამვაის შტო გაიყვანოს. ახალი გზა ვიწრო ლიანდაგიანი უნდა იყოს იმ პირობით კი, რომ იქაურ ვაგონებს საჭიროების დაგვარად დიდს ლიანდაგზედ შეეძლოთ მოძრაობა. ამ შტოზე სულ ექვსმა მოტორიანმა ვაგონმა უნდა იმუშაოს როგორც მგზავრთათვის, ისე საქონლის გადასაზიდად.

◆ ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა წინადადება მისცა ბ-ნ ხიზამბარელს, ორის კვირის განმავლობაში ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილების თანახმად გადააკეთოს თვისი ბოსელი, რომელიც მტკვრის პირას მდებარეობს, ექსარხოსის სასახლის იქით და საიდანაც ამ სასახლეში სიმყრალე მოდის.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** ამ მოკლე ხანში ყარსისა და ერევნის ეპარქიების დასათვალიერებლად მიემგზავრება.

◆ **სამკურნალო დახმარება.** ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სარევიზიო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების შეერთებულმა კრებამ სასურველად სცნო, რათა ქალაქის ექიმები რიგ-რიგობით სხვა და სხვა ქალაქს იგზავნებოდნენ თვის ხელობის საუკეთესოდ შესასწავლად. საბჭომ ეს აზრი მოიწონა. ახლა გამგეობამ სახალხო ჯანმრთელობის კომისიას დაავალა, შეიმუშაოს ექიმთა გაგზავნის წესები და დებულება.

◆ **შიოევისეულ სახლის ჩამონგრევის გამო** 21 თებერვალს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას ბ-ნ რუსანოვის თავჯდომარეობით. კომისიამ განიხილა თხოვნები შიოევისეულ სახლის ჩამონგრევის დროს დაზარალებულებისა, რომელნიც შემწეობას თხოულობდნენ. კომისიამ შესაძლებლად დაინახა, რათა განსვენებულის დანიელიანცის ოჯახობას მიეცეს 25,000 მან. ნაწილ-ნაწილად ხუთის წლის განმავლობაში, ხოლო ქართულ სცენის მსახიობს **ვიქტორ მატარაძეს**, რომელიც ახლაც ავადმყოფობს, მიეცეს ერთდროულად 6,500 მან. დანარჩენ დაზარალებულთა შესახებ კომისიამ დაადგინა, მოსთხოვოს მათზე გამგეობას დამატებითი ცნობები.

◆ **სამეურნეო საზოგადოების იუბილე.** მიმდინარე წლის 12 აპრილს 50 წელიწადი სრულდება, რაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოება არსებობს. ამ დღის აღნიშვნა საგანგებო დღესასწაულით საბოლოოდ გადაწყვეტილია. სამეურნეო საზოგადოების ბიურო უკვე შეუდგა დღესასწაულის პროგრამის შედგენას. დღესასწაულის დღე ჯერ დანიშნული არ არის.

◆ **გადამდები სენი.** 8 თებერვლიდან 20-დე ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს ცნობით ტფილისში 49 შემთხვევა ყოფილა გადამდებ სენით ავად გახდომისა. აქედან ქუნთრუშით ავად გახდომის შემთხვევა 27 ყოფილა.

◆ **ბოდბის მონასტრის იუბილე.** წელს 25 წელიწადი შესრულდა, რაც ბოდბის მამათა მონასტერი დედათა მონასტრად იქმნა გადაკეთებული. ამის გამო დღესასწაული იმართება მიმდინარე წლის 7 მაისს. მომავალ დღესასწაულის გამართვის საქმის გამო პეტერბურგს გაემგზავრა მონასტრის იღუმენია ანასტასია, რომელიც დღესასწაულზე მოიწვევს მონასტრის ძველ იღუმენიებს, სინოდის ობერ-პროკურორს და სასულიერო უწყების უმაღლეს წარმომადგენლებს.

◆ **რედაქტორის გარდაცვალება.** ტფ. მოსულ ცნობით, 21 თებერვალს ბაქოში უეცრად გარდაცვლილა „ტიფლ. ლისტოკ"-ის რედაქტორი ალექსანდრე იოსების ძე ქიშმიშევი, რომელიც ერთ დროს ტფილისში ცენზორად იყო.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ ორშაბათს, 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა, № 2) მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივ საზოგადო კრება.**

საგანი კრებისა: რეფერატები: 1) დეკანოზის კ. კეკელიძისა—სალიტურგიკო მოღვაწეობა ანტონ I კათალიკოზისა, 2) იუსტ. ირ. აბულაძისა—„ვეფხის ტყაოსანი" ჩვენს საგანძურებში არსებული ხელნაწერების მიხედვით და 3) „სომეხთა მოქცევის" ქართული თარგმანი მე-XI საუკუნეში; 4) ახალი წევრების არჩევნები.

კრებაზე გარეშეებაც შეუძლიანთ დაესწრონ.

ლეონ მელიქსეტ-ბეგოვის რეფერატის პროგრამა: 1) წმ. გრიგოლ პართელი ქართველთა წარმოდგენით („სომეხთა მოქცევის" მნიშვნელობა ქართველთათვის); 2) როდის არის გადმოთარგმნილი „სომეხთა მოქცევა"; 3) რა ენიდან არის გადმოთარგმნილი „სომეხთა მოქცევა"; 4) „სომეხთა მოქცევის" მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიისთვის.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებაში.** ვ. ი. რცხილაძე დასთანხმდა, კვლავ დარჩეს საზოგადოების გამგეობის წევრად, თანახმად გამგეობის თხოვნისა.

20 თებერვალს გამგეობის ახალ წევრთა კრება მოხდა პრეზიდიუმის ასარჩევად. ამ ჟამად გამგეობაში 24 წევრია. 9 ძველია, ხოლო 15 საზოგადოების წლიურ კრებაზე იქმნენ არჩეულნი. გამგეობამ აირჩია: თავმჯდომარედ—ვ. ი. რცხილაძე, მის ამხანაგად—ექიმი პ. ლ. კიკალეიშვილი, მდივნებად—ლ. გ. თუმანოვი და ა. ი. დგებუაძე და ხაზინადრად—გ. გ. ლემანი. ამავ კრებაზე გამგეობამ თვისი წარმომადგენელნი აირჩია სექციებში: რუსულში—ნ. ლ. კოვალიოვი, ქართულში—ვ. ი. კუწიავა, სომხურში—ი. აბაზიანი და ეგრედ წოდებულ დიდუბის სექციაში, რომელიც ტრამვაის მოსამსახურეებმა შეადგინეს—ა. ა. ერზიკიანცი. შემდეგი კრება გამგეობისა სამშაბათს, 25 თებერვალს, მოხდება საპროგრამო საკითხების განსახილველად. საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოკლე ხანში მოხდება სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად. საზოგადოების საქმეთა გამო მსურველმა უნდა მიმართოს საქმის მწარმოებელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში დილის 11-დან 12 საათამდე; ამას გარდა ოთხშაბათ-პარასკეობით საღამოს 5-დან 6 საათამდე.

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების **ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობმა სექციამ** 21 თებერვლის კრებაზე საბოლოოდ გადასწყვიტა, შეიძინოს ფარანი ბუნდოვან სურათებისთვის და სხვა და სხვა ალაგას სახალხო კითხვების მოწყობას შეუდგეს.

◆ **საერთაშორისო ენის „ესპერანტო"-ს საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დღეისთვის არის დანიშნული, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

**ოსურ დრამატიულ წრის** წევრთა კრება დანიშნულია დღეისთვის, დილის ათ საათზე, სახალხო სახლში. კრება აირჩევს წრის გამგეობის წევრებს.

◆ **მეხილეობის საზოგადოების** წევრთა კრება 28 თებერვლისთვის არის დანიშნული.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება დანიშნულია ორშაბათს, 24 თებერვლისათვის. საბჭოს განსახილველი აქვს 46 საქმე, მათ შორის: 1) გამგეობის მოხსენება საიჯარო სტოლის მდგომარეობის შესახებ ხმ. ბაბოვის შეკითხვის პასუხად, 2) არჩევა შიოევის სახელობის სახლის საამშენებლო-საადმასრულებლო კომისიისა, 3) დამატებითი არჩევნები საბალნეოლოგიო კომისიის წევრებისა, 4) გამგეობის მოხსენება ვერის პარკში აუზების მოწყობის შესახებ, 5) გამგეობის მოხსენება ლომბარდისათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ და 6) გამგეობის მოხსენება ქალაქის მოურავად ნამყოფი ა. ს. მატინოვის ძეგლის დადგმის შესახებ.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 21 თებერვალს მოხდა ი. ს. ალიხანოვის თავჯდომარეობით. ამ კრებაზე კომისიამ მასწავლებლები დანიშნა: პუშკინის პირველ სკოლის გამგე ქ-ნი კ. ქალანთაროვი სოლოლაკის სკოლის გამგედ, ნაცვლად გარდაცვლილ ფირუმოვისა, რომლის ოჯახობასაც კომისიამ 480 მან. ყოველწლიური პენსია დაუნიშნა, ქ-ნ ქალანთაროვის ადგილზე ავლაბრის საქალებო სკოლის მასწავლებელი ქ-ნი იზბანევისა, ვერის საქალებო სკოლის მასწავლებლად ქ-ნი კუროვსკისა, ამალლების სკოლაში ქ-ნი ოზეროვისა, ავლაბრის საქალებო სკოლაში ქ-ნი ჯალალოვისა და პუშკინის პირველ სკოლის მასწავლებლად პრინცესა კაჯარი. ამის შემდეგ კომისიამ განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნა განზრახულ საქალებო სახელოსნო სასწავლებლისთვის ადგილის დათმობის შესახებ. კომისიამ დაადგინა, დაუთმოს სკოლას უფასოდ 1,000 ოთხ. საჟ. მიწა ლოტკას გორაში. კომისიამ განიხილა თხოვნა ბერძენთა ახალშენის მცხოვრებლებისა, რომელნიც ბერძნულ სკოლის დაარსებას თხოულობენ. ამ საკითხის გამორკვევა და მოხსენების შედგენა კომისიამ მ. ზ. ქანანოვს დაავალა. კომისიამ ჰოისმინა განცხადება ინჟენერ ჩისლიევისა, რომელიც კომისიას დაჰპირდა მარტის ბოლო რიცხვისთვის წარუდგინოს დამზადებული გეგმა შიოევის სახელობის მომავალ სახელოსნო სკოლისა. კომისიამ დაადგინა, დაავალოს ა. ს. ბაბოვს, რათა ამ სასწავლებლის შესახებ კომისიას მოხსენება წარუდგინოს.

## სასწავლებლებში

◆ **სამღვთო სჯულის გაკვეთილების რევიზია.** ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, რომელსაც დავალებული აქვს სამღვთო სჯულის გაკვეთილების მუდმივი რევიზია, წარსულ იანვრიდან თითქმის ყოველ დღე ესწრება სამღვთო სჯულის გაკვეთილებს ტფ. საშუალო და დაბალ სასწავლებლებში. იანვრისა და მიმდინარე თებერვლის განმავლობაში ეპისკოპოსი პიმენი სამღვთო სჯულის გაკვეთილებს 53 ჯერ დასწრებია.

◆ **სათავად-აზნაურო საქალებო სასწავლებლის ტიპის** შემმუშავებელ კომისიის კრება ორშაბათს, 24 თებერვლისთვის არის დანიშნული.

◆ **სახალხო სკოლების** დირექტორმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ს. ვაქირის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებთა განაჩენი, რომლითაც ისინი თავის თავს მოვალედ ჰხდიან ყოველ წლიურად 250 მან. იხადონ ადგილობრივ სკოლის მსახურის შესანახად და ამ სკოლის გათბობა-განათებისთვის.

◆ ვერის პირველ დაწყებით საქალაქო სკოლისთვის საბჭოს სასკოლო კომისიამ საჭიროდ სცნო, შეიძინოს ვერაზე აკიმოვის ადგილი, ზომით 360 ოთხკუთხი საჟენი, თვითეული საჟენი 25—30 მანეთად.

◆ **სამეცნიერო კინემატოგრაფისთვის.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ქალაქის გამგეობას უფასოდ მიწის დათმობა სთხოვა. ეს შუამდგომლობა გამგეობის დავალებით ქალაქის სასკოლო კომისიამ განიხილა და დაადგინა: დაევალოს ს. თ. ქრელაშვილს, წარმოუდგინოს კომისიას მოხსენება ამ საკითხის შესახებ.

## ჭიათურა

◆ ჭიათურის **სახალხო უნივერსიტეტი** 3 მარტიდან სოფ. ზედარგანის საბჭოს სკოლის შენობაში ხსნის მოზრდილთათვის საღამოს კურსებს. კურსებზე ასწავლიან: ქართულს, რუსულს, ანგარიშს და ჰიგიენას. სწავლა იწარმოებს საღამოს 6 საათიდან ყოველ დღე ორ-ორი საათი, გარდა შაბათ-კვირისა. სწავლა ყველასათვის უფასოა. ჩაწერა შეიძლება ზედარგანის სკოლის მასწავლებელ ივანე ჩიმაკაძესთან და ფერშალ გერმანე ნემსაძესთან.

## ქუთაისი

◆ მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი ზურაბოვს, რომელიც ამ ჟამად ვენაში იმყოფება, შეუსწავლია ქართული ენა და წერა-კითხვა. ქუთაისიდან მას გაეგზავნა ქართული წიგნები და გაზეთები.

◆ ამ ჟამად ავად არის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი მწერალი იასონ ნიკოლაიშვილი.

◆ ასტრახანის გუბერნიაში გაგზავნილნი: ვ. მალაქიაშვილი, რაჟდენ კალაძე და ნესტორ ჩხიკვაძე ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო ციხეში სხედან.

◆ გამოვიდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბიულეტენის № 2 დ. ჩადუნელის რედაქტორობით. ბიულეტენში სხვა საინტერესო ცნობათა შორის მოთავსებულია ცნობები შავი ქვის გაზიდვის შესახებ 1913 წ. და სხვ.

◆ ქართულ ენაზე გამოვიდა ახალი წიგნი: „ახალი კანონები მუშათა დაზღვევისა". წიგნი ხუთ შაურად ღირს.

◆ მოკლე ხანში კვლავ გამოვა სასულიერო ჟურნალი „შინაური საქმეები".

## ახალციხე

◆ **ს. აწყურში** ვიღაც უცნობებმა ერთიანად გადასჩეხეს ხეხილები ადის აზიზ მუსტა-ოღლის ბაღში. ზარალი 3,000 მანეთამდეა.

## გარეთ-კახეთი

◆ **საგარეჯოს** მცხოვრებლებმა დადგინეს, დაუთმონ შინა-მრეწველობის მომავალ სკოლას ორი ოთახი და მისცენ 200 მან. ფულად.

## თიანეთი

◆ **ნავთის აღმოჩენა.** ს. ილდოკანში, რომელიც 15 ვერსით არის დაშორებული ახმეტას, კარგა ხანია ინგლისელთა ამხანაგობა მუშაობდა ნავთის აღმოსაჩენად. ახლა ამხანაგობამ მართლაც აღმოაჩინა ნავთი, ბაქოს ნავთზე უკეთეს ღირსებისა. ნავთი იმდენად ბევრია, რომ შესაძლებელია წარმოების დაწყება. ამის გამო ახლო-მახლო მდებარე ადგილები შესამჩნევად გაძვირდა. ადგილების შესაძენად მრავალი ხალხი მოდის.

# დღიური

### მოქმედება.

ნათქვამია: ბრძოლითა მოიპოვებ უფლებასა შენსა. ეს გადასხვაფერებული ბიბლიური სიტყვებია—ოფლითა სჭამდე პურსა შენსაო. აზრი ორივესი ერთია, ისა, რომ ცხოვრება მუდმივი ქმნაა, ბრძოლა, მოქმედება. არა მარტო ცხოვრება, სულიერობა, არამედ ყოველგვარი არსებობა, ყოფა—არის განუწყვეტელი მოძრაობა, ძლევა დამაბრკოლებელ მიზეზებისა, შობა უკეთესის პირობებისა. რაც დგას ერთს წერტილზე, არ მოძრაობს, არ მიდის წინ, არ იბრძვის—ის მკვდარია, აღარ არის.

იგივე დაბადება გვეუბნება, რომ პირველად ყველაფერი იყო ქაოსი და ღვთაებრივის შემოქმედების წყალობით ქაოსი იქცა ქვეყანად და მიიღო გამორკვეული სახე. შემდეგ შექმნა ღმერთმა კაცი ხატად და მსგავსად თვისად, მამაკაცი და დედა-კაცი „აკურთხნა იგინი ღმერთმან ჰეტყუელმან: აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას, და მთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა".

ამ თქმულებაში უბრალოდ და სადად არის გამოთქმული მშვენიერი ჭეშმარიტება, რომ მსოფლიო ღვთაებრივი გონების ნაყოფია და ადამიანი ამ გონიერების მატარებელია ამ ქვეყნად, რომ როგორც ღმერთმა ქმნა ეს ქვეყანა ქაოსისაგან, ისე ადამიანის შემოქმედებამ უნდა ქმნას ახალი ქვეყანა იმ ქვეყნისაგან, რომელიც აუფლა მას ღმერთმა. ბიბლიურს თქმულებაში განსაზღვრული ადამიანის მაღალი მისია: მისია ცხოვრება კი არ უნდა იყოს პასიური მდგომარეობა, იგი კი არ უნდა შეისვამდეს გარშემო არსებულს მოვლენებს უმოქმედოდ, როგორც ღრუბელი წყალს, არამედ თვით უნდა მივიდეს მოვლენებთან, შთაბეროს მათ თავისი მე, გარდაქმნას თავის ღვთაებრივის სულის მოთხოვნილების თანახმად. ღმერთმა გაჩენისას უდარდელი, უსაქმო, კმაყოფილი სიცოცხლე კი არ დაუმკვიდრა ადამიანს, არამედ დააკისრა მძიმე მოვალეობა—იყოს შემომქმედი უფალი ქვეყნებისა.

ისტორია კაცობრიობისა არის განხორციელება ამ მაღალის მისიისა. ადამიანის ცხოვრება შეუჩერებელი შემოქმედებაა და გარდაქმნა ქვეყნიერებისა. ადამიანის გონების საშუალებით ჩვენთვის მიუწდომელი და უხილავი ღვთაება ჰქმნის ახალს ქვეყნებს, მსოფლიო მიჰყავს უმწვერვალეს განვითარებისაკენ, რომლის სახე და დანიშნულება ჯერ ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ერთი რამ კი უკვე ნათელია ადამიანისთვის, რომ ცხოვრება არა მარტო ადამიანისა, არამედ მთელი ქვეყნისა თანდათან გონიერი ხდება, იმსჭვალება გონებითა და შეგნებით; ბრმა ინსტიქტიური განვითარების ადგილს იკავებს შეგნებული, მიზან-გარკვეული პროგრესი. კაცობრიობის არსებობა დღითი დღე ემორჩილება გონიერებას და თვით უსუ-

ლო ნივთიერებაც კი, ბუნების სტიქიური მოვლენებიც ადამიანის ბრძანებას ასრულებენ.

ადამიანის გონების შემოქმედება და სულის სიძლიერე არასოდეს არ ყოფილა ისე გათვალისწინებული და ღრმად დაფასებული, როგორც დღეს. ადამიანის შემოქმედი სული უდიდესი მეფეა, ღვთაების პირმშო ძე, რომლის ძლევა-მოსილობას, გამარჯვებას, შემოქმედებას არავითარი საზღვარი არა აქვს დადებული. ადამიანის გონებას ყველაფერი შეუძლია, იგი ყოვლის შემძლებია, ყოვლის მქნელი, ყოვლის დამძლევი. მისთვის გაშლილია თვალ-მიუწდომელი ასპარეზი—იგი გარდააქცევს ჩვენს ქვეყანას სამოთხედ, აქ დაუდგამს ღვთაებას სამეუფო ტახტს.

ასეთია დღევანდელი საუკეთესო ფილოსოფიის დასკვნა. ის აღჭურვილია უმტკიცესის რწმენით და ნდობით ადამიანისადმი და მოუწოდებს მას მეტისა და მეტის აქტიურობისა, მოქმედებისა და საქმიანობისათვის. ინდომე და იმოქმედე, ჰქმენ! აი დევიზი ამ ფილოსოფიისა. ყველაფერს მიწვდები, რის განხორციელება გწადია! აი, რა აწერია ამ ფილოსოფიის დროშაზე. არ არის ძალა შენზე უძლიერესი! აი, ფარი და იარაღი ამ მოძღვრებისა, რომლის შეგნება და შესისხლხორცება ასე ძლიერ საჭიროა ჩვენთვის.

ჩვენ ძალზე ვაზვიადებთ გარეშე პირობების გავლენას, უწინააღმდეგოდ ვემორჩილებით; შებორკილნი ვართ უაზრო შიშით, სულ უბრალო სადღეისო საქმე განუხორციელებელ ოცნებად მიგვაჩნია; სხვისი სიტყვა საქმედ გვეჩვენება, ჩვენს საქმეს სიტყვადაც არა ვსთვლით. გონება ჩვენი მოკლებულია გაბედულობას. რწმენას, უნდობლად ეკიდება თავს ურწმუნობა ჰშობს უსაქმობას, უმოქმედობას. ჩვენ იმას ველით, რომ ყველაფერი მისით, თავისთავად გაკეთდება; რაღაც უხილავი ძალა გადაჰქრის და გადაწყვეტს ყველაფერს. ჩვენი სოფლ-მხედველობა ფატალისტური აზრებითაა გამსჭვალული, ჩვენ პასივისტები ვართ, რომელნიც მოვლენას მივყვებით, რომელთა თვით კი არ მიგვყავს მოვლენა.

უნდა გამოვიდეთ ამ ფატალისტური რგოლიდან. უნდა შევიქნეთ აქტივისტები. ჩვენი რწმენა უნდა იქნეს რწმენა ადამიანის უსაზღვრო შემოქმედებისა. არ არიან მიუწდომელნი იდეალები. ყოველი ჩვენი მისწრაფება განსახორციელებელია, ყოველი ჩვენი ზრახვა შესასრულებელი. დღევანდელი ჩვენი ოცნება, ხვალ უკვე სინამდვილედ გახდება. ცხოვრება არის შემოქმედება, ქმნა და ყოველი წამი ჩვენი გავლილის ცხოვრებისა გვიახლოვებს იდეალს. საჭიროა მხოლოდ, რომ ცხოვრება ჩვენი შემოქმედება იყოს ჭეშმარიტად, რაც შეიძლება მეტი შემოქმედება. მუდმივად ვქმნიდეთ, მუდმივად ვმოქმედებდეთ, მუდმივად მივდიოდეთ წინ დასახულ მიზნისაკენ და დარწმუნებულ ვიყვეთ, რომ მივაღწევთ მიზანს, განვახორციელებთ იდეალს, ოცნებას ვიხილავთ.

მეტი შემოქმედება, მეტი აქტიურობა, მეტი საქმიანობა მხოლოდ, და ყოველ დაბრკოლება ძლეული იქნება!

**სიტყვა.**

## დიდი საკითხი

(წერილი სტამბოლიდან).

ისტორიამ ბევრი თავსატეხი საკითხი დაუყენა ქართველ ერს გადასაჭრელად. ერთი ასეთი საკითხია კათოლიკე ქართველების გადაგვარება. ჩვენი ეროვნული დაცემით და იმ მძლავრი იერიშით, რომელიც ქართველ ერზე ყოველმხრივ იქმნა მიტანილი მე-18 და მე-19 საუკ. საოცარი ოსტატობით და გამჭრიახობით ისარგებლეს სომხებმა და ისე მოახერხეს, რომ დიდ ძალი ქართველობა სომხურ ტიბიკონზე გადაიყვანეს. მეორე ნაწილიც ლათინურ წესზე დარჩა. ამ გვარად ორნაირად დაიჩაგრა ქართველი ერი. სომხებმა ის გააბეს თავის ეროვნულ ქსელში სარწმუნოების შემწეობით და ლამობენ გაასომხონ. არა ერთი ქართველია, რომელთაც თავისი ეროვნული ვინაობა დაჰკარგეს. მეორე მხრითაც, მაშინ, როდესაც ყოველ აღმოსავლეთის ერს ლათინურ ეკლესიის საფუძველთა ძალით ნება აქვს თავის სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვისა, ერთად-ერთი ქართველები გამოადგნენ, რომელთაც ეს ღრმად ქრისტიანული და ადამიანური უფლება წაერთვათ. მაგრამ თუ წაბორძიკებულ ქართველს ყველამ შესაფერი მუჯლუგუნი უთავაზა, ასე სამუდამოდ ხომ ვერ გაგრძელდებოდა. უბედურებათა მიერ დასნეულებული ხელ-ახლა წელში იმართება, ხელ-ახლა ცდაშია ფეხზე წამოდგეს და თავისი უდიერი მტერნი მოიგერიოს. ამგვარად, დღეს ნათლად წარმოდგა ქართველ ერის წინაშე ერთი დიდი საკითხი: **კათოლიკე ქართველობას მოუპოვოს დაკარგული ქართული ტიბიკონი.** ეს მისი ცდა ყოვლად ადამიანურია, მას მხარს დაუჭერს ყოველი მიუდგომელი და პატიოსანი ადამიანი. მაგრამ მიიხედმოიხედეთ, რამდენი მტერი ჰყავს ქართველს ამ მხრივ. ჯერ იყო განუსაზღვრელი ბიუროკრატია სდევნიდა მას, მერე განსაკუთრებით რთული ქსელი გააბა მის წინააღმდეგ მეტად დაოსტატებულმა სომხობამ. პირველის წინააღმდეგობა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ რამოდენადმე შესუსტებულად უნდა ვცნოთ, ხოლო მეორე რამდენად ხედავს, რომ ქართველი ერი ღვიძებსო, იმდენად აორკეცებს თავის ძალას მის წინააღმდეგ. ასე რომ თვითონ რომიც დაშინა, **თუ ქართული ტიბიკონი შეეგიწყნარებია, სისხლი დაიღვრებაო.** ამგვარად იქელება ქართველი. სადამდის? ნუ თუ დრო არ არის ნათლად და გარკვეულად დავაყენოთ საკითხები? დღეს ქართულ ტიბიკონის საკითხი წამოაყენა კათოლიკე ქართველთა ძმობამ. მაგრამ საჭიროა მას მხარი დაუჭიროს მთელმა კათოლიკე ქართველობამ და მთელმა ქართველობამაც. სიმართლე და ადამიანობა ჩვენ მხარესაა. და თუ მას თან დაჰყვება შესაფერი გონიერი მოქმედება, შესაფერი შეგნება, მაშინ გამარჯვებაც ჩვენია.

**უ.**

## ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების მუზეუმი

დღეიდან ტფილისს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულება ემატება. ჭლექთან კავკასიის მებრძოლი საზოგადოება დღეს ხსნის თავის მუზეუმს, რომელშიაც ყველასათვის თვალსაჩინო იქნება, თუ როგორ არის გავრცელებული ეს საშინელი სნეულება საერთოდ მთელს მსოფლიოში და კერძოთ რუსეთში და კავკასიაში. სტატისტიკური ფურცლებიდან და დიაგრამებიდან ყველას შეუძლიან დაინახოს, თუ რა საშინელ ზიანს აყენებს კაცობრიობას ეს ულმობელი სენი. გარდა ამისა, მუზეუმში წარმოდგენილია ნორმალური და პათოლოგიური ანატომია ფილტვებისა. სხვადასხვა სურათებიდან და დიაგრამებიდან ნათელი ხდება ყველასათვის, თუ როგორ უწყობს ხელს ჭლექის გავრცელებას სიღარიბე, უსუფთაობა, ცუდი ბინა და გაუნათლებლობა. მუზეუმში აგრედვე წარმოდგენილია, თუ როგორ სწარმოებს საზოგადოებრივი ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყანაში, გაშოფენილია აგრედვე პლაკატები, რომლითაც ავრცელებენ ხალხში სხვა და სხვა სახელმწიფოში ცნობებს ამ სენის შესახებ. საერთოდ მუზეუმი ფრიად საყურადღებოა და ჭლექთა შესახებ ცნობების გავრცელებაში ერთი უპირველესი ადგილთაგანს დაიჭერს ჩვენს ქალაქის ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას განუზრახავს ყოველს კვირა დღეს თორმეტი საათიდან 3 საათამდე გაღოს მუზეუმი ყველა მსურველთათვის უფასოდ და მასთან მუზეუმის დემონსტრაციაც მოახდინოს. ასეთი მუზეუმი პირველია მთელს საქართველოში და ამიერ კავკასიაშიც და დიდი მადლობის ღირსია, როგორც საზოგადოება, აგრედვე ექიმი ფეხნერი, რომელსაც ეს მუზეუმი შეუგროვებია და მოუწყვია.

## მცირე განმარტება

ამას წინად „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი იყო შალვა დადიანის წერილი შესახებ სასცენო მოღვაწეთა კრების საჭიროებისა, რაზედაც ბ-ნმა სიტყვამ თავის ჩვეულებრივი ხუთშაბათის საუბარში მშვენიერი მოწოდება მოათავსა.

ოლონდაც, რომ სასცენო მოღვაწეთა კრების მოწვევა მომწიფებულია და ფრიად საჭირო და ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ერთი გარემოება.

ეს საკითხი ახალი არ არის. ჯერ კიდევ ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინად ბ-ნმა ვალ. გუნიამ დრამ. საზოგ. კრებაზე წინადადება მისცა გამგეობას, რომ მას შეემუშავებინა გეგმა სცენის მოღვაწეთა კრების მოწვევის შესახებ. მერე კიდევ იმავე ბ-ნმა გუნიამ ნიკოლოზ ქართველიშვილის თავმჯდომარეობის დროს განიმეორა კრებაზე თავისი წინადადება და გამგეობას დაევალა კიდეც ამ წინადადების სისრულეში მოყვანა.

ამავე საგანზე რამდენიმე დასაბუთებული წერილიც კი იყო დასტამბული „თეატრსა და ცხოვრებაში“.

შარშან წლიურს საზოგადო კრებაზე, ბ-ნ ტარსაიძეს თავმჯდომარეობის დროს, ქიათურის დრამ. საზოგადოების მოთხოვნით გადაჭრით გადაწყდა კრების მოწვევის აუცილებლობა და განსაკუთრებული კომისიაც კი აირჩია, რომელსაც გამგეობასთან ერთად დაევალა გეგმის შემუშავება, პროგრამის გამოკვლევა და დამდეგ ამ დიდმარხვისათვის სასცენო მოღვაწეთა კრების მოწვევა...

მერე, რა გაკეთდა? სრულებით არაფერი. სჩანს, გამგეობას ან არა სურს, ან არ ძალუძს ამ საქმის მოწყობა.

უეჭველია, გამგეობა პასუხს მოგვცემს ამ საგანზე.

**დრამ. საზოგ. წევრი.**

## მუშათა ცხოვრება რუსეთში.

**გაფიცვის დასრულება.**

17 თებერვალს დასრულდა „სამხატვრო მწერლობის“ სტამბის მომუშავეთა გაფიცვა. ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნილებანი: კვირეულის ნაცვლად მუშებს თვიურათ მიეცემათ ჯამაგირი; სამუშაო დღე განსაზღვრეს. გაფიცვამ 10 დღეს გასტანა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 350 მუშამ. გაზეთები, რომელნიც გაფიცვის გამო არ გამოდიოდნენ, 18 თებერვლიდან გამოდიან.

**მუშათა გადასახლება.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ საგანგებო საქმეთა საკრებულომ პეტერბურგიდან გაძევა სამი მუშა. ისინი იქნებიან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ქალაქებში ეკრძალებათ ცხოვრება.

**მუშათა წარმომადგენლების დევნა.**

დანილევის სამანუფაქტურო ქარხნის მუშებმა სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას აცნობეს, რომ საავადმყოფო კასების მუშათა რწმუნებულებს პოლიცია აპატიმრებს და სდევნის. მიზეზი დაპატიმრებისა მუშებმა არ იციან.

**ობუხოვის ქარხანა.**

ქარხნის ახალმა უფროსმა პოლკოვნიკ ჩორბამ სახელოსნოებში განაცხადა, რომ ის მუშები, რომელნიც ხელფასს კვირეულად იღებენ და მუდმივ მუშებად არ ითვლებიან, დღეის ამას იქით ქარხნის მუდმივ მუშათა შტატში ჩაირიცხებიანო. არამუდმივი მუშები სხვა მუშებთან შედარებით ხელფას ფრიად მცირეს იღებენ, არა სარგებლობდნენ არც სამკურნალო დახმარებით და არც საზოგადოების მაღაზიით. უკანასკნელ გაფიცვის დროს მუშებმა სხვა მოთხოვნილებათა შორის მოითხოვეს ასეთ მუშათა შტატის გაუქმება.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**22 თებერვალი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ქვედა პალატა. გრეი შეკითხვაზე უპასუხებს: ვიცი რომ ოსმალეთი სახელმწიფოებს წარუდგენს რეფორმის გეგმას ოსმალეთის აზიის ნაწილისას. როგორც ამბობენ, პორტას სურს ევროპის ამორჩეული გენერალ-ინსპექტორის დანიშვნა, რომელსაც მიენიჭება ადმინისტრატიული და საკონტროლო ფართო რწმუნებულებანი.

— უნიონისტური გაზეთები იუწყებიან, რომ ირლანდიის ჰომრულის ბილის გამო გამართულმა მანიფესტაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბევრმა ლონდონელმა მოაწერა ხელი განცხადებას, რომ ულსტერს მხარი დაუჭირონ.

— მაირობიდან (აფრიკა) იუწყებიან, რომ უკანასკნელ თვეების განმავლობაში ინგლისის სიმაგრეებს აბისინიის სამზღვრებზე ხშირად თავს ესხმიან ადგილობრივი მკვიდრნი. აბისინიის მთავრობა უძლურია მათს წინააღმდეგ.

**პარიზი.** შემოსავალთა მიხედვით არსებულ გადასახადის სენატის კომისიაში ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა ტექსტი საფრანგეთის რენტის შესახებ და აგრეთვე საფრანგეთის სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებისა. საფრანგეთის მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ყოველწლივ განაცხადონ თვისი შემოსავლის რაოდენობა. შემნახველი და საპენსიო კასები განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან; განთავისუფლებულნი არიან ის მესაკუთრენიც, რომელთა სარენტო შემოსავალი 625 ფრანკს არ აღემატება, საერთო შემოსავალი კი 1250 ფრანკს. პირდაპირ კუპონებზე გადასახადს დაადებენ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ თუ მინისტრი კაიო მოისურვებს საფრანგეთის ყველა რენტაზე გადასახადის დადებას, კომისია ვერ დაეთანხმებაო.

**ვენა.** სამხედრო სამინისტროს ორგანო „მილიტარიშე-რუნდშაუ“, ეხება რუსეთის მომავალ საცდელ მობილიზაციას და ამბობს: ავსტრო-ჰუნგრეთის საზოგადოებრივ აზრს საბუთი არა აქვს აღელვებისა, რადგან ეს მობილიზაცია მხოლოდ საცდელი ვარჯიშობისათვისაა და ასეთ მობილიზაციის მოხდენა არც გასაკვირველია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა სახელმწიფოებმა კრიზისის დროს ნამდვილი მობილიზაცია მოახდინეს. „ნოიე ფრეიე პრესე“ ამ წერილს განმარტავს და შიშობს, რუსეთი შეაგროვებს დიდ ძალებს და ამით სამხედრო ძალთა თანასწორობას დაარღვევსო. ამით იგი სახელმწიფოებზე ძალდატანებითი გავლენას იქონიებს დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს. სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ სამხედრო ვარჯიშობისათვის დიდი თანხები დახარჯონ, განსაკუთრებით იმ ხარჯების შემდეგ, რომელიც გამოიწვია რუსეთის საცდელმა მობილიზაციამ 1912 წელს. მიუხედავად ამისა, გაზეთი აგრეთვე ურჩევს საზოგადოებას ნუ აჩქარდება და გული დაიმშვიდოს, რადგანაც რუსეთს ავსტრია-უნგრეთთან სადაო არა აქვსრა.

(**შენიშვნა:** რუსეთის სააგენტოს დავალებული აქვს, გამოაქვეყნოს, რომ „მილიტარიშე-რუნდშაუ“-ს ცნობა რუსეთის მობილიზაციის შესახებ სრულებით მოკლებულია სიმართლეს. ჯარის-კაცთა წლევანდელი სავარჯიშო გაწვევა სხვა წლებისაგან არ განსხვავდება).

დეპუტატმა ნეიმანმა შეკითხვა შეიტანა პოლკოვნიკ ზანკევიჩის მოქმედების გამომჟღავნების გამო, რომელიც იანდრიჩის პროცესის დროს გამოირკვა. ნეიმანი კითხულობს, თანახმაა თუ არა სამხედრო მინისტრი იკისროს გავლენიან წრეებში მიღებულ პირთათვის მიჩენილ სამხედრო აგენტების ინსტიტუტი.

**ათინა.** პალატა. ოპოზიციამ მთავრობის პოლიტიკაზე ეპირის საკითხის გამო იერიში მიიტანა. ოპოზიცია აღნიშნავს, რომ ალბანეთის გულისათვის 150,000 ბერძენი არ უნდა გაგვეწირათო. ვენიზელოსმა უპასუხა: ვალდებული ვარ ლონდონის კონგრესის გადაწყვეტილება შევასრულო.

ბერძენ ოფიცრებსა და ალბანელების შორის გაიმართა მოლაპარაკება კალონიის ოლქის სოფლების დაბრუნების შესახებ. კორიციდან იუწყებიან, რომ ალბანელებმა ქალაქის თვითმართველობის შენობაზე მყოფი ალბანეთის დროშა ჩამოხსნეს, რადგანაც არწივს ზემოდ მზე არ იყო გამოხატული. ტეპელინის ქრისტიანები იხიზნებიან. ასამურიის მცხოვრები ქრისტიანები თავდასხმისა და აწიოკების შიშით ოჯახებს იმ ადგილებში ჰხიზნავდნენ, სადაც ბერძნები მოსახლეობენ.

**ტოკიო.** 60 გაზეთის წარმომადგენელმა იმპერატორს თხოვნა მიართვა, რომელშიაც ბრალსა სდებენ პრემიერს იამამოტას ბოროტ-მოქმედებაში საზღვაო გემების აშენების საქმეში. იამამოტა 20 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ასრულებდა პასუხსაგებ თანამდებობას ფლოტში. შინაგან საქმეთა მინისტრს ბრალსა სდებენ იმაში, რომ 28 იანვარს უმიზეზოდ გამოიყვანა ჯარი პარლამენტთან შეგროვილ ხალხის გასაფანტავად, რამაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.—სამხედრო მინისტრმა ზედა პალატაში განაცხადა, ახალი დივიზიების შედგენის გეგმა ფინანსიური მოსაზრებით გადაიდოს. დარწმუნებულნი არ არიან, ვითომც ეს გეგმა საგაისოდ მაინც გავა. სწავლა-განათლების მინისტრად ოკუდას მაგიერ, რომელსაც იუსტიციის მინისტრმა ჩაიბარეს, დაინიშნა ლიბერალურ პარტიის წევრი, ქვედა პალატის თავმჯდომარე ოსკა.

**კაირო.** ორი გემით სურსათი და იარაღი მიჰქონდათ არაბებისათვის. მათ ეგვიპტელი დარაჯები მოატყუეს და გემები სოლუნის ახლო გადატვირთეს.

**რიო დე-ჟანეირო.** შეიპყრეს 2 გენერალი, 2 პოლკოვნიკი, მაიორი, და კაპიტანი გარნიზონისა და ორი რედაქტორი ოპოზიციური გაზეთისა. სამხედრო მინისტრმა ჯარებსა და ფლოტს განკარგულება დაუგზავნა, ყოველ წუთს მზად იყვნენ.

**კაირო.** ლორდმა კიტჩენერმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს სთხოვა, შესაფერი წინადადება შეიტანოს სტამბოლში ეგვიპტელ პოლკოვნიკის აზის-ბეის შეპყრობის გამო.

## დღეს

**კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ილია ნაკაშიძე** უამბობს ბავშვებს „მელიას თავგადასავალს“ ს. ტომასონისა, ანდერსენის ბიოგრაფიას და მის ზღაპარს „ბულბულ“-ს. დასაწყისი დილის 11 საათზე.

**სახაზინო თეატრი.** ინვალიდების საღამო.

**„ახალი კლუბის“ დარბაზში.** ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


## იყიდება

ვერაზე, სომხების სასაფლაოს ახლოს, 112 ოთხკუთხი საჟენი **მიწა** ორი ქვითკირის ოთახით და სამზარეულოთი.

პირობების გაგება შეიძლება ამ მისამართით: ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 6. მკერავ ივ. სვანიძესთან. 112

## სამშობიარო თავშესაფარი ოუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**ჩვენი მწერლობა.**

| | |
|---|---|
| სუმბათაშვ. ღალატი, ტ. 1906. 1—25 კ. | ამბავი, ტ. 1914. მისივე, 25 „ |
| ტარუაშვილი. თხები და ცხვრები, იგავი, ტ. 1913. . 15 „ | ქილილა და დამანა, ტ. 1886. 1— „ |
| „ მამა-შვილი, ანუ გაუბედურებულნი, დრ. 3 მ. ტ. 1908. . . . 15 „ | ქვარიანი ს. სუმბული, ლექსები. ყვ. 1901. . . 25 „ |
| „ მტარვლის ბედი, დრ. 1 მოქ. ტ. 1910. . 10 „ | ვიზიტი (ეტიუდები), 1903. 10 „ |
| ფურცელაძე ან. ასული ისრაილისა, ტ. 1900. . . 30 „ | ქებათა-ქება და სოლომონ. ტ. 1909. 10 „ |
| მაცი ხვიტია, ტ. 1911, მისივე, 50 „ | ყაზბეგი ალ. თხზ. ტ. 1905. 3—50 „ |
| ქიტესა ტ. 1890. . . 15 „ | ელისო, ქუთ. 1909. . 10 „ |
| ბრძოლა საქ. მოსპ. და საქარ. შესაერთებლად, ტ. 1912. 1 მ. | ყარამანიანი. 16 კარ. თითო კარი 40 „ |
| ფრონელი ა. მთიულეთი, 1804, ტფ. 1806 წ. . . 40 „ | ყიფიანი ვ., სამეგრ. მთავ. ლევანი, ისტ. დრამა 5 მოქ. 40 „ |
| ამბოხ. კახეთ. (1812), ისტ. ამბები, ტ. 1907, . . 60 „ | ყიფიანი სვ. წვრ: მოთხრ. 1911. 60 „ |
| მთის არწივი შამილი, ისტორ. | შიუკაშვ. გამხმარი ფოთ. 1911. 20 „ |
| | „ მეგობრ. დრ. 4მ. ტ. 1911. 30 „ |
| | **მიღებულია ახალი წიგნები:** |
| | თაყაიშვ. ე. საისტ. მასალ. 1913. 25 „ |
| | ხუნდაძე ს. ქართ. ლიტერ. სახელმძღვანელო, ქუთ. 1914. 15 „ |
| | ევდოშვ. საყმაწ. მოთხრ. 1914. 10 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

## ქუთაისის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

გოროდსკოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაკაშიძისა:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის) ავადმ.

**ბ. გ. ბახტაძისა:** 1—2 ს. შიგნითა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ბაბანასოვისა:** 10—11 ს. სადგები, ქალებისა და ბავშვებისა.

**გ. გ. ბენ-ამინოვი:** 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. ბეგლიხანოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სადგები და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბეგლიხანოვი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1071 დოქტორი **ბ. ა. ნაკაშიძე.**

## ს. ა. გრიაზნოვი

სხვა მასწავლებლებთან ერთად

**ამზადებს**

გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა**, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 48

## ინტელიგენტ რუსის ოჯახში

მოსწავლეებს ღებულობენ სრულს ხარჯზე თვეში ოც მანეთად.

ტფილისი, ავლაბარი, ვახტანგის ქუჩა, სახლი აკოფოვისა, ბინა ნელიუბოვისა **№ 11**, გიმნაზიის მახლობლად. 121

## სავაჭრო სახლი ე. ა. ცატუროვი და ამხ.

ტფილისი, სასახლის ქუჩ. ტელ. 238, ფირმა არსებობს 1869 წლიდან.

**მიიღეთ დიდძალი რჩეული**

## ბრეხილი ავეჯეულობა

მხოლოდ **ტონეტის** ქარხნისა

აგრედვე

**შპალიერი**

**ელექტრონის არმატურა.** 1043

თევზის მრეწველნი

## ძმ. ...

## ძეგველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. №№ 9.**

**ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.**

## იყიდება

**იმავე ხარისხის**

## საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.